საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 156 შაბათი, იანვრის 27 (9) 1918 წ. № 156

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

42
ეროვნული ბიბლიოთეკა

დარდანელის აღების ცნობები მართალი არ გამოდგა.—გერმანიაში არეულობა გრძელდება: არეულობა დრეზდენშიც გადავიდა.—პერუმ და ურუგაიმ შესწყვიტეს დიპლომატიური კავშირი გერმანიასთან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დიუმ 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 დიუმ 8 მან., 20×2 დიუმ 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" ([illegible] „ნადეჟდა") ბარათოვის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190

ფ ა ს ი 20 კ ა პ.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო საქმე"-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობა გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით *Тифлисъ, ред. „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190,*

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დილით არის ღია.

ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შევსებულ განცხადების მიხედვით.

კვირას, 28 იანვარს, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, გადახდილი იქნება პანაშვიდი

კიტა აბაშიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი საფლავზე (დიდუბეში) დაიწყება ნაშუადღევის 12 საათზე.

დიდად დამწუხრებულნი ვლადიმერ ყარამანის ძე ყარამან ანტონისძე, ეკატერინე გიორგის ასული, ვერა ყარამანის ასული, მანდარია ალექსანდრეს ასული, ალექსანდრე და გიორგი ყარამანის ძენი ბალაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 23 იანვარს გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლე, დანარჩენების კი ძვირფასი რძალი

ბარბარე |ვარა| გრიგორის ასული ბალაშვილისა.

პანაშვიდი დღეს, საღამოს ექვს საათზე, საკუთარ სახლში—შილკოვნიკოვის ქ., № 5. გამოსვენება კვირას, 28 იანვარს, დილის 10 ს., წმ. სამების ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 118

დიდად დამწუხრებულნი მელანია ყარამანის ასული და მღვდელი მიშა და ქართულ მსროლელი პოლკის [illegible] სიმონ მიხეილისძე თამასიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 23 იანვარს, საღამოთი გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი რძალი

ბარბარე |ვარა| გრიგორის ასული ბალაშვილისა.

პანაშვიდი დღეს, საღამოს ექვს საათზე, შილკოვნიკოვის ქ., № 5. გამოსვენება კვირას, 28 იანვარს, დილის 10 საათზე, წმ. სამების ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 118

ორშაბათს, 29 იანვარს, დილის 10 საათზე, სიონის ტაძარში, გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ალექსანდრა |საშა| დავითის ასულის ეგაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გულდათუთქულნი შვილები, რძლები და სიძე. 112

დიდად დამწუხრებულნი მარიამ ყარამანის ასული და მღვდელი დიმიტრი გაბრიელის ძე ბურთიკაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი რძლის

ბარბარე |ვარა| გრიგორის ასული ბალაშვილისას.

პანაშვიდი დღეს, საღამოს ექვს საათზე, შილკოვნიკოვის ქუჩა, № 5. გამოსვენება კვირას, 28 იანვარს, დილის 10 საათზე, წმ. სამების ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 118

მეუღლე ვარვარა ანტონოვის ასული და შვილი ნიკოლოზ ალექსანდრესძე, სიდედრი მელანია ანტონოვის ასული აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ იანვრის 28 დილის 10 საათზე, წმ. კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ფოსტა-ტელეგრაფის 1 ხარისხის მოხელის

ალექსანდრე ნიკოლოზისძის ივანოვის

სულის მოსახსენებლად. 117

ხვალ, კვირას, 28 იანვარს

ალექსანდრე ლუკასძის ჩაგანავას

გარდაცვალების ორმოცი დღეზე, ქაშვეთის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, 12 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ მეუღლე და სიდედრი განსვენებულისა. 116

ღრმად დამწუხრებულნი, ოლღა ალექსის ასული, ალექსი, ივანე და პლატონი ხოლოშონის ძენი კლიმიაშვილები, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 იანვარს გარდაიცვალა პირველი ორის დაუვიწყარი შვილი მხოლოდ დანარჩენების საყვარელი ძმისწული

დიმიტრი ალექსის ძე კლიმიაშვილი

ცხედარს გამოასვენებენ წმიდა მარინეს მონასტრიდან 28 იანვარს და წაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. 27 საღამოს 6 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი საკუთარ სახლში ტუნჯოვის ქ. № 4. 123

---

30 იანვარს, შუადღის 3 საათზე, [illegible] ეკლესიაში, დაბა ხონში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

ვლადიმერ |ლადიკო| ალექსანდრესძის ქუთათელაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს დიდი ნაღვლით, მამა ალექსანდრე, ცოლი ეკატერინე, შვილი [illegible], ძმები მიშა, საშა და გრიშა და დები ოლღა, კატო, თალიკო და ნატაშა ქუთათელაძეები, და ქვრივი ხომერიკისა ქრისტინე [illegible] და რძალი [illegible] ასული ქუთათელაძისა. 121

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა

[illegible] ტელეფ. 19-00.

დღეს 27 იანვარს გაიმართება

გრანდიოზული ბენეფისი

მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონის ზნიშკო ცაპანსკის მონაწილეობით. მთელი დასი გაიმართება [illegible] ბოქსის მატჩი (პრემია 100 მან.) [illegible] ზნიშკო-ცაბოვია. [illegible] 5 წუთი: [illegible] 500 მანეთი [illegible] 500 მან. [illegible] 1 საათის განმავლობაში [illegible] 1. ზნიშკო—რაავო. 2. [illegible], 3. [illegible], 4. [illegible] დასაწყისი 8 ს. დასასრული 12 ს.

ანონსი: ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. 119

---

25 იანვარს ღამით ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველი ქართული პოლკის „ვოლნოოპრედელიაიუშჩი"

გიორგი |ყორყიკ| ექვთიმეს ძე ჭავჭავაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები ექვთიმე და თეოდოსია კვაჭაძეები, დები: მარო და თამარ და ძმა ანდრო კვაჭაძეები, სიძენი: ალექსანდრე დალაქიშვილი და არტემ ახოშაძე. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათზე მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვა კვირას 28 იანვარს დილ. 10 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 122

ქართული კლუბი

პარასკევს, 2 თებერვალს აკაკის სახელობის საბავშვო ბაღის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

ცოლქი შალვა

ბილეთები იყიდება სახაიე „ძმურ ნუგეშში" და სახალხო საქმის კანტორაში. დასაწყისი შუადღის 12 საათზე. 1057

საქართველოს სოც.-ფედ. სარევოლუციო პარტიის ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი

აცხადებს

ამხანაგების საყურადღებოდ, რომ კვირას, 28 იანვარს ტფილისში გაიხსნება ტფილისის გუბერნიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა

საგუბერნიო კრება

კრების საგანი:
1. მოხსენება ტფილისის საგუბერნიო კომიტეტისა.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. მიმდინარე საკითხები.
4. საგუბერნიო კომიტეტის არჩევნები.

დელეგატებს კრებაზე ირჩევს ასი წევრი ერთს. დელეგატებს ჰგზავნიან ის ორგანიზაციებიც, სადაც წევრთა რიცხვი ასზე ნაკლებია.

დიდი ცირკი
„გიგანტი"

ავლაბარში, აბანო „მოგილოს" პირდაპირ

დღეს 27 იანვარს გაიმართება **საპარადო გახსნა** ახალი გრანდიოზული ცირკის „გიგანტის". გახსნის დღეს გაიმართება პარადი ყველა არტისტების და პირველი წარმოდგენა, დასაწყისი საღ. 8 საათზე, დაწვრილებით აფიშებში.

ანონსი: კვირას 28 იანვარს გაიმართება ორი სადღესასწაულო წარმოდგენა საღამოს სრული პროგრამით. დასაწყისი 1 საათზე. 120

---

28 იანვარს დანიშნული კოოპერატივ

„მეურნე"-ს

ჩვეულებრივი წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება,
2. 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება,
3. მიმდინარე საკითხები,
4. წესდების ძალით გასულ გამგეობის ორი წევრის არჩევა.

კრება მოხდება ახალ კლუბში, დილის 12 საათზე. 1051

ტფილ. ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სასწავლებელი

(ლერმონტოვის ქუჩა № 4.)

მოწაფეთა მიღება დაიწყება, კვირა უქმეების გარდა 4 იანვრიდან დილის 10 საათიდამ 2 მდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ახლად მოწვეულნი არიან სიმღერის (ბასი) მასწავლებლად იტალიური ოპერის მსახიობი ქალი ა. ი. ჯაყელისა და ფორტეპიანოს მასწავლებლებ: თავისუფალი ხელოვანი მოსკოვის კონსერვატორიის ს. ს. კარაკაშისა და პეტროგრადის კონსერვატორია დამთავრებული თ. შ. [illegible] ზედგინიძისა. სწავლა დაიწყება 8 იანვარს. 1005

ტფილისი, 27 იანვარი 1918 წ.

ჩვენი მდგომარეობა

საქართველოს მდგომარეობა საშინელია. მას დიდი ხანია თავს არ დასტეხია ასეთი უბედურება და საფრთხე, რანაირიც ეხლა უახლოვდება, ამას ყველანი ვამბობთ და უფრო ხშირად ვწერთ, მაგრამ ქართველმა ერმა, მისმა ფართო მასამ ძალიან ცოტა იცის ამ საფრთხისა და ძლიერ ნაკლებად გრძნობს სამშობლოს ტრაგიკულ მდგომარეობას. მართლაც, თითქოს გარეგნად ყველაფერი რიგზეა იმისათვის, რომ იარაღი არ აიღო ხელთ და საომრად არ ემზადო. ომი თითქოს გათავდა, მალე ზავიც იქნება, რუსის ჯარი, რომლის დემობილიზაციის შიში იყო—უკვე აღარ არის და რაც არის, ისიც ნელ-ნელა მიდის ჩრდილოეთისაკენ. მაგრამ ეს სიჩუმე და მშვიდობიანობა შეიძლება სიჩუმე იყოს ქუხილის წინ, სიჩუმე იყოს კატასტროფის მოახლოვებული. მართლაც ერთი ნაპერწკალი კმარა, რომ საშინელი ცეცხლი გაჩაღდეს და ამ ცეცხლმა იმსხვერპლოს ჩვენი არსებობა, ჩვენი იდეალები და იმედები.

ის სახელმწიფოებრიობა, რომელიც ერთნაირი თავდები იყო ჩვენის ფიზიკურის არსებობისა—აღარაა. იწყება ანარქია, როდესაც ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობს. ამისთანა დროს საქართველოში არაა ძალა ან ორგანო, რომელიც წინ უძღოდეს და სცდილობდეს მთლად ქართველი ერი გარს შემოიკრიბოს, შეჰქმნას ცენტრი, რომელიც გახდება საფუძველი საქართველოს გაერთიანებისა და ეროვნულად ჩამოყალიბებისა. თითქოს ჯარი გვყავს, მაგრამ ეს ჯარი ჩვენთვის საფრთხეს უფრო წარმოადგენს, ვიდრე დახმარებას. მოიგონეთ გორის, ქუთაისის, ტრაპეზუნტის და სხვა ადგილებში მომხდარი ამბოხებანი, მოიგონეთ მონაწილეობა ამ „პოგრომებში“ ქართველ ჯარისკაცებისა და აშკარა იქნება ყველასათვის, რომ ჩვენს ჯარშიაც დაიწყო და თანდათან ძლიერდება ის გახრწნა, რუსის ჯარი რომ დაღუპა და ჩვენსასაც დაღუპვას უქადის. ეხლა ყოველი შეგნებული ქართველის მოვალეობაა ყოველ გზა-ჯვარედინზე იძახოს: შეიარაღდით, დარაზმდით, რათა დავიცვათ მშობლიური კერა, დავიცვათ ჩვენი ცოლ-შვილი, მახლობლები და ყველაფერი ის, რაც შეუქმნია მრავალ თაობათა გაუწყვეტელ მუშაობას საუკუნეთა განმავლობაში. უპირველესად ყოვლისა აქ ინტელიგენცია უნდა ამოძრავდეს და ნათელი შუქი მიაფინოს იმ მასაში, რომელიც ბნელია და შეუგნებელი და რომელსაც ვერ გაუგია, ვერ უგრძვნია მოსალოდნელი განსაცდელი, ჩვენ უნდა შევქმნათ საფუძველი ძლიერი საქართველოს მთავრობისათვის. უამისოდ ჩვენი ქვეყანა დაიღუპება, სხვის მონა-მორჩილად გახდება, ხალხს ამის შესაძლებლობა არ ესმის და ამიტომ სრულიად არ გაღვიძებია ინსტინქტი ეროვნული თავდაცვისა.

დღეს ამიერ-კავკასიაში მრავალი მთავრობაა, [illegible] მიერ დანიშნული კომისარი კავკასიის სტეპ. შაუმიანი—ცდილობს აქ გაბატონებას. ჩვენ ვიცით უკრაინის მაგალითით რას ნიშნავს ეს გაბატონება ბოლშევიკებისა. ეს ნიშნავს სამოქალაქო ომის გაჩაღებას, რომელსაც მოჰყვება სისხლისაგან დაცლა ისედაც მისუსტებულ და დაუძლურებულ საქართველოსი, ეს ნიშნავს ყოველგვარ ეროვნულ [illegible] გაუქმებას და [illegible] იმ ადგილებზე, სადაც წინად ისხდნენ [illegible] წარმომადგენლები ქართველი ერისა და მისი პოლიტიკური პარტიებისა. [illegible] საქართველოს დამფუძნებელ კრებისა, რომელსაც [illegible] ენება.

[illegible] ჩვენი ქვეყნის გარეშე და შინაური საფრთხე, [illegible] და სახელმწიფოებრივი ჩვენი [illegible] იწვევენ ხელს, ჰლამობენ ჩვენს დამორჩილებას, შინ ქვეყნის სამოქალაქო ომი და არეულობა, რომელიც დაღუპავს არამც თუ რევოლუციას, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანას. მეტი შეგნება, მეტი ენერგია, რათა შევსძლოთ თავიდან ავიცილოთ სამშობლოს კარზე მომდგარი მტერი და უბედურება.

ამიერ-კავკასიის სეიმი

ამიერ-კავკასიის ადგილობრივი მთავრობა რუსეთის განსაკუთრებულმა პირობებმა წარმოშვა. არც სოციალისტ-რევოლუციონერები, რომელთა პროგრამაში ფედერაცია უწერიათ, [illegible] სოციალ-დემოკრატები, რევოლუციის პირველი დღეების ძლიერი პარტიები; არ დაეთანხმებოდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის შედგენას, პეტროგრადში რომ ძალა-უფლება ხელთ არ ეგდოთ ბოლშევიკებს და აქაური სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატების პეტროგრადის პარტიული ამხანაგები სახელმწიფოს მართვა-გამგეობას არ ჩამოეშორებინათ. ბოლშევიკების გამოსვლამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს დანაწილებას, რადგანაც რუსეთი, როგორც მრავალ ერთა მექანიკური კავშირი; მხოლოდ სათანადო პირობებს ელოდა, რომ თავის შემადგენელ ნაწილებად დარღვეულიყო. მაგრამ ამ ჟამად მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. ყოველი წუთი რევოლუციისა ახალ სიტუაციას ჰქმნის და სწორედ ამას უნდა მიეწეროს, რომ სულ სხვანაირი მოტივების ზედ-გავლენით წარმოშობილი დამოუკიდებლობა ამიერკავკასიისა მუდმივ პოლიტიკურ მოვლენად უნდა იქცეს.

ბოლშევიკობა დამფუძნებელი კრების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მის მიერ მიღებული კანონები მაინც დაადასტურეს. ამ რიგად, როგორც რუსეთის სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების დღევანდელი ბატონები, ისე სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება შეთანხმდნენ იმ აზრზე, რომ რუსეთი ამიერიდან არის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკა. ჩვენ არ ვიცით, ვინ უნდა იყოს ამის შემდეგ წინააღმდეგი ისეთი სამშენებლო მუშაობისა, რომელიც სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურებულ კანონის განხორციელებისკენ იქნება მიმართული? სოციალისტ-რევოლუციონერები ფედერალისტები არიან. თუ აქაური, ადგილობრივი სოციალისტ-რევოლუციონერები წინააღმდეგობას უწევდნენ ყოველნაირ გამოხატულებას ეროვნული განთავისუფლებისას, ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ მათს წრეში ბევრი ერია ისეთი, რომელსაც არაფერი საერთო არა ჰქონდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიულ ტრადიციებთან. დღეს, როდესაც რუსეთში ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა შეიქმნა და როდესაც სოციალისტ-რევოლუციონერებს ბევრი ისეთი ელემენტი ჩამოსცილდა რომელიც ძალიან მალე სულ სხვანაირი პოლიტიკური ფიზიონომიით მოგვევლინება, სოციალისტ-რევოლუციონერებს ზნეობრივი უფლება აღარა აქვთ ფედერალიზმის წინააღმდეგ წავიდნენ და [illegible] ამიერკავკასიის პოლიტიკური წეს-წყობილების გარდაქმნა ფედერატიულ საფუძვლებზე. სოციალ-დემოკრატები ყოველთვის ფედერალიზმის წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ მათ ყოველთვის სწამდათ და ეხლაც სწამთ ავტორიტეტი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისა. თუ ეს ასეა, მაშინ სოციალ-დემოკრატებს დღეს არავითარი უფლება არა აქვთ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების გარდაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდნენ და ხელი არ შეუწყონ ამიერკავკასიის გარდაქმნას დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკად. როგორც ამიერკავკასიის დეპუტატების თათბირის სხდომაზე ნ. ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვიდან სჩანს, სოციალ-დემოკრატები, მართლაც, ამგვარად უყურებენ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების გარდაწყვეტილებას და პრაქტიკულად ახორციელებენ ფედერატიულ პრინციპს.

ჩვენის ღრმა რწმენით ვერც აქაური ბოლშევიკები შესძლებენ ფედერალიზმის იდეის წინააღმდეგ გაილაშქრონ მას შემდეგ, რაც სახალხო კომისართა საბჭომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონი დაადასტურა. ბოლშევიკები საზოგადოდ წინააღმდეგნი იყვნენ ფედერალიზმისა, მაგრამ თანდათან მათშიაც გაიმარჯვა მიმდინარეობამ, რომელმაც ეროვნულ ძალთა განწყობილებას ანგარიში გაუწია და საჭიროდ აღიარა რუსეთის გარდაქმნა ფედერატიულ რესპუბლიკად. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაკანონება დამფუძნებელი კრების გარდაწყვეტილებისა ამ მიმდინარეობის დაგვირგვინებად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ აქაურ ბოლშევიკურ გაზეთში არა ერთხელ შეგვხვედრია წერილები ფედერალიზმის სასარგებლოდ, მათი საზოგადო მიმართულება მაინც ანტიეროვნულია და ეს რამდენადმე ხელს უშლის ფედერალიზმის აზრების შეთვისებას ხალხის ფართო მასის მიერ. ჩვენ ძალიან კარგადა ვგრძნობთ, რაც ემართებათ ეს ბოლშევიკებს, ბოლშევიკური აზროვნება არსებითად ცენტრალისტური აზროვნებაა და იგი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ფედერალისტების დეცენტრალისტურ აზროვნებას. რეალურმა სინამდვილემ შინაგანი წინააღმდეგობა დაბადა ბოლშევიკურ აზროვნებაში და სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ისინი ხან ფედერალიზმის სასარგებლოდ სწერენ და ხან კი სასტიკად ილაშქრებენ იმ ეროვნული საბჭოების წინააღმდეგ, რომელნიც ფედერატიული კავშირის ნაწილების წინასწარ ჩანასახს წარმოადგენენ. ჩვენ გვგონია, რომ დღეს არა, ხვალ ბოლშევიკები ამ შინაგან წინააღმდეგობას სძლევენ, ან სამუდამოდ კავშირს გასწყვეტენ ფედერალიზმთან და ბრძოლას გამოუცხადებენ მთელ რუსეთს, ან ფედერალიზმის იდეას საფუძვლიანად შეითვისებენ და ამით ხელს შეუწყობენ სარევოლუციო ძალთა შორის კონტაქტის დამყარებას. ყოველ შემთხვევაში სახალხო კომისართა საბჭო უკვე გარკვეულად ფედერალიზმისკენ გადაიხარა და რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა.

ამ ახალ პირობებში უხდება შეკრება ამიერკავკასიის სეიმს, როგორც ეხლა ეძახიან იმ კრებას, რომელიც ამ ახლო მომავალში უნდა შეიკრიბოს. ამიერკავკასიის მოწყობა ფედერატიულად ეხლა იძულებითი რამ მოვლენა კი არ არის, არამედ დადებითი სახელმწიფოებრივი სამშენებლო მუშაობაა, რომელმაც მუდმივი სახელმწიფოებრივი წესწყობილება უნდა შეჰქმნას ამიერკავკასიაში. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება კიდეც რომ შეგროვდეს, მას ვერ შეუძლიან დაარღვიოს ის წესწყობილება, რომელიც ამ ჟამად ამიერკავკასიაში იქნება. ვერ შეუძლიან იმიტომ, რომ იგი არის შედეგი იმ კანონის რეალიზაციისა, რომელიც რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური პირობებია შექმნილი ამიერკავკასიის ფედერატიულად მოსაწყობად, ჩვენ მაინც ეჭვის თვალით ვუცქერით მომავალს, თუ პოლიტიკურმა პარტიებმა დიდი ენერგია არ გამოიჩინეს და არ მოითხოვეს ნაციონალურ-ტერიტორიალური გამიჯვნა, როგორც კონდიციო სინე ქუა ნონ ამიერკავკასიის მოწყობისა ფედერატიულ ნიადაგზე. საუბედუროდ, ამ საკითხში სრული თანხმობა არ არსებობს ერთა შორის და სწორედ ამ გარემოებამ შეიძლება შეუძლებელი გახადოს ფედერატიული რესპუბლიკის შექმნა ამიერკავკასიაში. ამიტომ, ვისაც გულწრფელად ჰსურს ამიერკავკასიის პოლიტიკური წესწყობილების ჩამოყალიბება, უპირველესად ყოვლისა უნდა შეეცადოს თანხმობის დამყარებას ამიერკავკასიის ერთა შორის. შეიძლება გამოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც სწორედ ამ შეუთანხმებლობის საბაბით ძირითადი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა შორეული დროისთვის გადადება მოითხოვონ. ეს მხოლოდ გაართულებს მდგომარეობას, რადგანაც ისე არაფერი უშლის ხელს სარევოლუციო შემოქმედებას, როგორც ამიერკავკასიის პოლიტიკური წესწყობილების ფორმის გამოურკვევლობა. ამიტომ, რაც უნდა ძნელი იყოს გადამიჯვნა, იგი მაინც უნდა მოხდეს და მოხდეს დაუყოვნებლივ. ამიერკავკასიის ერნი უნდა გაიმსჭვალნენ იმ აზრით, რომ მხოლოდ შეერთებულ მოქმედებაშია ძალა და ხსნა ამიერკავკასიისა. ის, ვინც გარეშე ძალაზე ამყარებს თავის იმედებს და ამით გატაცებული გაურბის ერებთან შეთანხმებას, იგი ძირს უთხრის არა მარტო დანარჩენ ერებს, თავის თავსაც, რადგანაც გარეშე ამიერკავკასიის ერთა შეთანხმებისა და თანამშრომლობისა ამიერკავკასიის არც ერთს ერს პოლიტიკური არსებობა არ შეუძლიან.

ამიერკავკასიის სეიმს, როგორც დროებითს გარდამავალს დაწესებულებას ვალად ედება მოამზადოს ნიადაგი შეთანხმებისა და ეროვნულ-ტერიტორიალური ერთეულების ჩამოყალიბებისა. როდესაც სეიმი ამ საქმეს შეასრულებს, იგი ადგილს დაუთმობს ამიერკავკასიის ფედერალურ საბჭოს, როგორც ახალსა და მუდმივ ორგანოს ამიერკავკასიისას. მაგრამ, თუ ამიერკავკასიის სეიმმა ეს ვერ შესძლო, იგი არამც თუ ჰაერში დარჩება ჩამოკიდებული, იმ ვალსაც ვერ მოიხდის, რომელიც მას რევოლუციის ისტორიულმა მსვლელობამ დააკისრა...

არ. ჯაჯანაშვილი.

გარკვეული გეგმა

ყველა ადვილად შეამჩნევს, რომ დღევანდელ პოლიტიკურ მოღვაწეობას უფრო ახასიათებს, აგრე ვთქვათ, სიტყვიერობა, დეკლარაციული და დემონსტრატიული მუშაობა, ვიდრე ნამდვილი საქმიანობა, შემოქმედება. უეჭველია ისიც, რომ ეს ნაკლი თან სდევს ჩვენს ეროვნულ საბჭოსაც, რომელიც მეტად ბევრს დროს ანდომებს გეგმებისა და საჯარო განცხადებათა შედგენას. ამ გეგმებს და დეკლარაციებს არ ვიწუნებთ; სავსებით არ გვაკმაყოფილებს, უფრო გაბედული და გარკვეული სიტყვა შეჰფერის ჩვენს აწინდელ მდგომარეობას, ხოლო ისიც რომ გაკეთდეს, რასაც ეროვნული საბჭო აცხადებს და რის გეგმაც შედგენილია, ესეც დიდი საქმე იქნებოდა ჩვენი ერის თავისუფლების გამოსაჭედად. მაგრამ უბედურება ისაა, რომ გამოცხადებული არ სრულდება, ან სრულდება მეტად ნელა და დაგვიანებულად.

ავიღოთ, მაგალითად, ეროვნული საბჭოს წარსული კვირის კრება, რომელმაც გაიზიარა ნ. ჟორდანიას მოხსენების დებულებანი ამიერკავკასიის სეიმის შესახებ. რასაკვირველია სეიმს ფრიად მნიშვნელოვანი საქმეების გაკეთება შეუძლია—დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება და ეროვნულ ტერიტორიების გამიჯვნა, რაიც აუცილებელი პირობაა კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკების და მათის მკვიდრი კავშირის დასამყარებლად. მხოლოდ საჭიროა ენერგიული მუშაობა, მტკიცე მოქმედება, საქმიანობა და არა ცარიელი ლაპარაკი. სეიმმა უნდა იმოქმედოს სწრაფის ტემპით და ერთს წუთსაც არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი დროებითი, წარმავალი დაწესებულებაა დღევანდელის შეადგენლობით და მის მოქმედებას იმდენად ექნება ფასი და გავლენა, რამდენადაც დაემყარება ეროვნულ ძალებს, რამდენად იმუშავებს, როგორც რწმუნებული ამიერკავკასიაში მოსახლე ერებისა.

თავისთავად სეიმი არარაა და მის შედგენილ მთავრობასაც არ ექნება სათანადო ავტორიტეტი, როგორც არ ჰქონდა დღემდის კომისარიატს. ამ ავტორიტეტს სეიმი არ უნდა ეძებდეს რუსეთის ცენტრშიც, რომელიც ფაქტიურად კარგა ხანია არ არსებობს. სეიმის ძალა ერების რწმუნებულობაშია და თუ ეს არ შეიგნო სეიმმა ნათლად და არ დაადგა ამ ხელმძღვანელ აზრად, ვერც ერთი მისი დადგენილება ვერ გასცილდება სასახლის კარებს. ამაზეა დამოკიდებული სეიმის ცხოველობა და საქმიანობაც. უამისოთ მას არ ექნება რწმენა და სადაც არაა რწმენა, იქ შეუძლებელია რისიმე გაკეთებაც.

მაშასადამე გარკვეული გეგმა—დაუყოვნებლივ მოსპობა ომიანობისა, რომელიც ეკონომიურად და კულტურულად ანადგურებს ჩვენს ქვეყანას, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობას, დაუყოვნებლივ გამიჯვნა ეროვნული ერთეულის მიწა-წყლისა, რომ ამ ერთეულებში ცალკე შედგეს და მოეწყოს საკუთარი რესპუბლიკები და შემდეგ მოხდეს ამათი თანასწორუფლებიანი შეკავშირება ფედერაციის და კონფედერაციის სახით,—აი ეს ნათელი გეგმა უნდა დაედვას საფუძვლად ახლად შეკრებილს სეიმს და მის განხორციელებას უნდა შეუდგეს სისწრაფით, მთელის თავის ძალ-ღონით. ყოყმანი და რყევა შეუწყნარებელია. ყოველი დაკარგული დღე დიდს საფრთხეს განუმზადებს მთელ ამიერკავკასიას და თითოეულს ერს: ანარქია გაიზრდება, ერების ურთიერთი დამოკიდებულება გამწვავდება, ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცემა და ამ ნიადაგზე ადვილად შეიძლება აღმოცენდეს ყოველგვარი რეაქცია...

ვიმეორებთ: ამიერკავკასიის სეიმის არსებობა წარმავალია, მისი მნიშვნელობა შემზადების ხასიათისაა, მაგრამ დიდს სამსახურს გაუწევს ქვეყანას თუ შესძლებს იყოს რწმუნებული კავკასიელ ერებისა და ხელი შეუწყოს ეროვნულ მთავრობათა დაწესებას და მათ შეთანხმებას.

განიმსჭვალოს ამ დიდის საქმის შეგნებით და იმოქმედოს მხნედ, გაბედულად!..

სამ. ფირცხალავა

სამშობლო და მშობელი ხალხი განსაცდელშია!

ამხანაგებო!

სამოქალაქო ომის ალი და საგარეო [illegible] არევ-დარევის ქარიშხალი დღითი დღე უახლოვდება ჩვენს ქვეყანას, განსაცდელშია რევოლუციის მოპოვებული თავისუფლება, ანარქია იკიდებს ყველგან ფეხს, სანატრელი ზავი ჯერ ჩამოგდებული არაა და შესაძლებელია მტერმა ერთიანად წალეკოს ჩვენი სახლ-კარი და სარჩო-საბადებელი, ყოველის მხრით ჭირი და უბედურება მოგვდგომია და არავინაა ჩვენი მშველელი და პატრონი, დგება ჟამი, როდესაც ბნელმა ძალებმა შეიძლება ხელიდან გამოგვტაცონ ყოველივე უფლება და ჩვენს ხალხს დაადგან კისერზე უფრო მძიმე უღელი, ვიდრე იყო უმწვავესი რეაქციის დროს.

დგება დღე უდიდესი განსაცდელისა, დღე ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნისა, დღე საქართველოს დაფლეთა-დაგლეჯისა და განადგურებისა. ასეთ დროს თუ არ ადგა მთელი ერი, თუ ერის ყოველი შვილი არ აღინთო უძლიერესი სიყვარულით მამულისადმი, თუ არ დაირაზმა და არ შეიარაღდა მთელი ხალხი, თუ ყველა არ განემზადა თავის დასადებად,—დაღუპვის მეტი არა მოგველის რა წინ!

მუშებო, რევოლუციის მოწინავე რაზმო, დაიცავით რევოლუცია და მშობელი ხალხი! გლეხებო, შეიარაღდით მიწისა და თავისუფლებისათვის! მშრომელო ინტელიგენტებო, საშველად მოგიწოდებთ განსაცდელ დღეს!

უდიდეს განსაცდელში ვართ, დავივიწყოთ სხვა ყველაფერი და ერთი ფიქრი, ერთი მისწრაფება ასულდგმულებდეს მარტოდ ჩვენს არსებას—დავიცვათ რევოლუცია, დავიცვათ მშობელი ერი, დავიცვათ მშრომელი ხალხის უფლება! დავამტკიცოთ ყველამ, რომ გვიყვარს ჩვენი წმინდა დროშა, გვიყვარს საქმე, რომლისათვის მოგვიწოდებს იგი!

დაუყოვნებლივ ჩაეწერენით ყველანი დიდი და პატარა საქართველოს სახალხო მილიციაში და ქართულ ჯარში. მოვუწოდებთ ამხანაგებს, პარტიულ ორგანიზაციებს, გასწიონ საამისოდ ფართო აგიტაცია და პროპაგანდა. ვავალებთ შეგნებულ ამხანაგებს, განსაკუთრებით ინტელიგენტებს, იმოქმედონ თავგანწირულად!

საქართველოს სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტი.

1918 წ. იანვრის 25.

პარტიის წევრებს მთავარ კომიტეტისაგან

საქართველო და მშობელი ხალხი განსაცდელშია. საჭიროა დაუყოვნებლივ დარაზმვა და შეიარაღება. საქართველოს ეროვნულ საბჭოს დადგენილებით უკვე სდგება სახალხო მილიცია. მაგრამ ეს საკმარისი არაა, მით უმეტეს რომ მილიციის მოწყობას რამდენიმე თვე მოუნდება. ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოეწყოს ქართული ჯარის პოლკები და მოვუწოდებთ ამხანაგებს ცხოვლად შევიდნენ მოხალისეებად ამ პოლკებში. განსაკუთრებით ეს ევალებათ ინტელიგენტურ წევრებს, რომელთაც ნათლად შეგნებული უნდა ჰქონდეთ მთელი სიმძიმე დღევანდელი მდგომარეობისა.

სათანადო პროპაგანდა-აგიტაციის გასაწევად საჭიროა ფული. მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ამხანაგებს ერთი დღის თავისი შემოსავალი ოთხშაბათს 31 ამ თვეს შემოიტანონ პარტიის კასაში თავდაცვის ფონდისათვის. პროვინციელმა წევრებმა ეს ერთდროული გადასახადი უნდა შეიტანონ ადგილობრივ კომიტეტებში, ხოლო უკანასკნელებმა დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ტფილისში, „სახალხო საქმის“ რედაქციაში შემდეგის წარწერით „მთავარ კომიტეტს თავდაცვისათვის“.

ტფილისელმა ამხანაგებმა ფული უნდა შემოიტანონ ან პარტიის კლუბში ან „სახ. საქ.“ რედაქციაში.

ომი

ბრიტანიის ბანაკის ცნობა.

იპრიში მივიტანეთ მოწინავე პოსტზე და მრავალი დავატყვევეთ; მოვიგერიეთ გერმანელების იერიში პოლკაპელსა და პოლიგონის ტყეზე. ჩვენმა აეროპლანებმა ოთხი ტონის ყუმბარა ჩამოაგდეს ვალანსიენში; დავანარცხეთ გერმანელების [illegible] აეროპლანი. ჩვენ დაგვეკარგა [illegible] აეროპლანი.

[illegible]

ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 8 ჰაეროპლანი, ხოლო ბრიტანელებმა—ექვსი.

ცნობები აღმოსავლეთ აფრიკიდან

მოკავშირეთა ჯარი გერმანელებს სდევნის პორტუგალიის ტერიტორიაზე. რამდენიმე ხნის წინად მათ სხვა და სხვა პოზიციები დაიპყრეს და ხელთ ჩაიგდეს 30 ტონი სასურსათო მასალა.

გერმანელების მოქმედება ზღვაზე.

ინგლისის საზღვაო მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ გერმანელების სუბმარინების (წყალქვეშების) მოქმედება შესუსტდა და იმ დონეზე დაეცა, რომელზედაც ერთი წლის წინად იყო, როდესაც გერმანიამ უარი სთქვა მოკავშირეთა სავაჭრო გემების დევნა-შევიწროებაზე; დაღუპულ და ჩაძირულ გემების რიცხვი თან და თან მცირდება; ახალი გემების (რომელიც ახლა შენდება) რიცხვი თან და თან მატულობს, მტრის დაღუპულ წყალქვეშების რიცხვი იზრდება. მტრის წყალქვეშა ნავების შემადგენლობა ვერ იჩენს იმ ენერგიას და [illegible], რომელსაც ერთი წლის წინათ იჩენდა ის.

გაფიცვები გერმანიაში.

ზოგიერთი გერმანული გაზეთი აცხადებს, რომ კიოლნში, კასელში, ბრესლაუში, ლაიპციგსა და ლუდვიგსჰაფენში გაფიცვები შესწყდა, ხოლო დაიწყო დრეზდენში, [illegible] დემონსტრაციები სასახლის წინ, მიუნხენში და გაფიცულ ბავარიელთა ლიდერები დააპატიმრეს. ბერლინში არეულობა გრძელდება. დაპატიმრებულია 160 კაცი. შემოღებულია საომარი სასამართლო, რომელსაც უფლება აქვს სიკვდილით დასჯის. კანცლერ ჰერტლინგმა უარი განაცხადა გაფიცულებთან მოლაპარაკებაზე.

სამხრეთი ამერიკა და გერმანია

არგენტინის მთავრობამ მოიწონა პერუსა და ურუგვაის მოქმედება, რომელთაც შესწყვიტეს დიპლომატიური კავშირი გერმანიასთან: პერუ და ურუგვაი, არგენტინის მთავრობის აზრით, საერთაშორისო კანონის თანახმად და თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად მოიქცნენ.

ახალი ამბავი

◆ **პირდაპირ მავთულთან.** ქალაქ როსტოვიდან პირდაპირ მავთულით 25 იანვრიდან შემდეგს იტყობინებიან: როსტოვის მცხოვრებ ქართველებმა გადასწყვიტეს შეადგინონ ცალკე რაზმი და გაგზავნონ ტფილისში რევოლუციისა და ფრონტის დასაცავად.

ძალა-უფლება როსტოვში და დონის ოლქში არის შეერთებულ მთავრობის ხელში, რომელიც შედგენილია—ყაზახთა და მცხოვრებთა სხვა და სხვა ნაწილის წარმომადგენელთაგან.

ცნობა ვითომც ბოლშევიკებს ჩაეგდოთ ხელში ძალა-უფლება ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია.

◆ **მუშათა მიტინგები ტფილისში** 25 იანვარს ტფილისში გაიმართა მუშათა მიტინგები. მიტინგებზე ლაპარაკობდნენ სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლები. მიტინგმა მენშევიკების რეზოლუცია მიიღო.

◆ **ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა.** 25 იანვრის სხდომაზე ამიერკავკასიის კომისარიატმა განიხილა დეკრეტი სახალხო კომისრებისა ამიერკავკასიაში შაუმიანის დანიშვნის შესახებ და განცხადება უკანასკნელისა თავის მოვალეობისა, დაადგინა წინადადება მისცეს შაუმიანს და მის მოადგილე კუზნეცოვს—24 საათის განმავლობაში დასტოვონ ამიერკავკასიის საზღვრები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაემორჩილებიან ამ გადაწყვეტილებას, დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნებიან. ამასთანავე დაადგინეს გასცენ განსაკუთრებული ბრძანება მილიციის უფროსის საყურადღებოდ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. ამის შემდეგ კომისარიატის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად მილიციის უფროსმა გაგზავნა მილიციონერები შაუმიანის ბინაზე, მაგრამ როგორც ბინაზე, ისე კოჩუბეევის ქუჩაზე, № 20, ვერ იპოვეს ვერც შაუმიანი და ვერც კუზნეცოვი.

◆ **ხასავიურტის საქმის მდგომარეობა** კავკავიდან ამიერკავკასიის კომისარიატს ატყობინებენ,—რომ ის ცნობა, რომელიც გადმოცემული იყო ჩინოვნიკ პოლოსიანცის მიერ რომ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო!
გახსოვდეთ
ოთხშაბათი 31 იანვარი.

თუმც ყუბანის მთავრობას უარ ეყოს ყოველივე სურსათის მოწოდება და დახმარების გაწევა კავკასიის ფრონტის ჯარისათვის, სიმართლეს მოკლებულია. რათა სავსებით გავაშუქოთ ამ საკითხის მდგომარეობა—გადმოგცემთ, რომ—ყუბანის მთავრობამ შეიმუშავა ერთგვარი წესი 23 დეკემბერს, რომლის ძალითაც ის შეძლების და გვარად მიაწვდის სანოვაგეს ხსენებულ ადგილებს.

1. სოფლის სასურსათო კომიტეტი ემორჩილება სამხრო მთავრობას—რომელიც განაგებს ყოველივე საქმეს სასურსათო კომიტეტისას.

2. სამხრო სასურსათო კომიტეტი ასრულებს ყოველგვარ მოთხოვნილებას სამხრო მთავრობისას.

3. კავკასიის ჯარისათვის ყოველივე ტრანსპორტები გაიგზავნება ნოვოროსიისკიდან და ტუაპსიდან.

◆ **სამხედრო სამსახურში გაწვევა.** ამიერკავკასიის სასურსათო საქმეთა კომისარი ამით ატყობინებს ყველა მოსამსახურეებს სხვა და სხვა სასურსათო პუნქტებში მყოფს, რომ მოსალოდნელ მობილიზაციის დროს, იმათ არავითარი შეღავათი არ მიეცემათ.

◆ **მუშების გაფიცვა.** ამიერკავკასიის შრომის სამინისტროს კომისარმა აცნობა საფინანსო საქმეთა კომისარს რომ ტყვიბულის ქვანახშირში მომუშავე მუშებმა რიცხვით 800 კაცმა გაიფიცნენ—რადგან ამ 2 ნახ. თვის განმავლობაში მათ არ მიუღიათ ჯამაგირი, რომლის რაოდენობაც უდრის 185,000 მანეთს და რადგან გაფიცვა აყენებს ცუდ მდგომარეობაში თვით მუშებს და თანაც დიდი ზარალი მიუტანოს ამიერკავკასიის რკინის გზის მოძრაობას. კომისარი სთვლის აუცილებელ საჭიროებად მიეცეს მუშებს ეხლა 45,000 მან. დანარჩენი თანხი კი ბონების გამოცემის შემდეგ.

◆ **კაცის გაჭყლეტა** 10 იანვარს, ვერის დაღმართზე, დილის ცხრის ნახევარზე, წითელი ჯვრის ავტომობილმა გაიტანა დავით გაბრიელიძე. ამის მნახველებს ვთხოვ გამოცხადნენ მოწმედ. ჩემი მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 153, პლატონ გუგუნიძეს.

◆ **აკაკის გარდაცვალების წლის თავი.** იანვრის 26-ს შესრულდა სამი წელიწადი მგოსნის აკაკის გარდაცვალების დღიდან. ამის გამო კვირას, იანვრის 28 ს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება განსვენებულის მოსახსენებლად მამადავითის ეკლესიაში გადაიხდის წირვასა და პანაშვიდს. წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი იქნება წირვის შემდეგ.

◆ **ქართული უნივერსიტეტის გახსნა.** გუშინ ნაშუადღევის მეორე საათზე გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. იგი გახსნა აკ. ჩხენკელმა აუარებელ ხალხის თანდასწრებით. დაწვრილებით ცნობებს ხვალ მოვათავსებთ.

სოფლად და ქალაქად

ქუთაისი

◆ ქუთაისის მუშათა საბჭოს არჩევნებში, რომელიც 13 იანვარს დაიწყო და 20 დასრულდა სულ 82 წევრი იქნა არჩეული. ამათში 58 ეკუთვნის მენშევიკებს, 14 სოც.-ფედერალისტებს 8 ბოლშევიკებს და სოც.-რევოლიუციონერებს.

◆ 21 იანვარს, საღამოს 7 საათზე მეხეთის ქუჩის ბოლოზე „არტილერიის ქალაქში" სადაც მოთავსებული არის წამლის საწყობი, ავტომობილები, ყუმბარები და სხვა დიდძალი საქონელი ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოისა; ჯარისკაცებმა რბევა დაუწყეს და საქონელი იქვე მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში დააგროვეს. ეს ამბავი დროზე გაიგეს რაიონების მილიციელმა და მეხეთის ქუჩის თავდაცვის კომიტეტმა. უნდოდათ დახვედროები საქონელი მაინც დაეცვათ, მაგრამ ჯარისკაცებმა ერთი ოფიცრის მეთაურობით ესინი თოფის კონდახებით გაფანტეს, შემდეგ საწყობს ცეცხლი წაუკიდეს. საღამოს 10 საათზე ეს აცნობეს სახალხო მილიციისა და სისხლის სამართლის მილიციის უფროსებს. უკანასკნელებმა შეატყობინეს ყველა უბნების კომისრებს და იქეთკენ გასწიეს.

გაძლიერებულმა მილიციამ ჯარისკაცები როგორც იყო გაფანტა, მაგრამ ცეცხლს ვერაფერი უშველეს. ცეცხლის მფრქვეველი რაზი მხოლოდ წამლის საწყობს იცავდა, რომ არ აფეთქებულიყო. ცეცხლმა დილის 7 საათამდის გასტანა. დაიწვა ერთი უზარმაზარი შენობა 4 დიდი განყოფილებით. ზარალი 1 მილიონ მანეთს უდრის.

გორი.

◆ 14 იანვარს „მანდილოსნის უფასო სკოლის სასარგებლოდ ფულს აგროვებდნენ ქუჩებში, ხოლო საღამოთი „მანდილოსნის" საჩაიეში პატარა საღამო გაიმართა. შემოსავალი 1000 მანეთამდე იყო.

◆ ქალაქში ნავთი აღარ იშოვება სრულიად. მაგრამ მედუქნეებს მაინც აქვთ გადამალული და ჩუმ ჩუმად ჰყიდიან 1—2 მ. გირვანქას. 19 იანვრის კომისარიატმა ოქმი შეადგინა და სავაჭრო დაუკეტა არშაკუნის, რომელმაც გირვანქა ნავთი 2 მანეთად გაჰყიდა.

◆ სიძვირე უფრო და უფრო იზრდება. ფუთი სიმინდი 26 მანეთს ფასობს, ხორბალი 33 მ.

◆ განჯის მხრიდან გამოქცეულნი აქაც მოაწყდნენ.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

საგუბერნიო პარტიული კრება. კვირას, დილის 11 საათზე ტფილისში პარტიულ კლუბის დარბაზში გაიხსნება ტფილისის გუბერნიის პარტიული კრება. ტფილისის ორგანიზაციები კრებაზე ჰგზავნიან 6 იანვრის კონფერენციისთვის არჩეულ დელეგატებს. კრებას სრულ უფლებოვან წევრებად ესწრებიან საგუბერნიო კომიტეტისა და მუშათა კავშირის გამგეობის წევრნი.

—

დღეს, საღამოს 8 საათზე „სახალხო საქმის'' რედაქციაში მოხდება მორიგი კრება ტფ. საგუბერნიო კომიტეტისა. ამხანაგებს ვთხოვთ ყველანი დაესწრნენ კრებას.

—

დღეს საღამოს 6 საათზე პარტიის მთავარ ბინაზე დანიშნულია რაზმელ სტუდენტთა სასწრაფო კრება.

სტუდ. სამხედრო კომიტეტი.

—

კვირას, 28 იანვარს, მთავარ კომიტეტის ინიციატივით პარტიულ დარბაზში, საღამოს 7 საათზე გაიმართება ტფილისის წევრთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრების თემაა: ,,რევოლიუციისა და სამშობლოს განსაცდელი''. თავმჯდომარედ იქნება ამხ. გ. ლასხიშვილი: სიტყვებს წარმოსთქვამენ ი. გედევანიშვილი, შ. მესხიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. იარათაშვილი, ს. დადიანი, ს. ფირცხალავა, აკ. პაპავა, ქრ. რაჭველიშვილი, მ. საყვარელიძე. ამხანაგებს მოუწოდებთ ყველანი დაესწრნენ კრებას.

—

კრება კუკიაში. დღეს საღამოს 5 ნახევ. საათზე. კუკიის საუბნო კომიტეტის ბინაზე (ჩერქეზიშვილის ქ. № 29) გაიმართება საუბნო კრება, კრების საგანია ამიერკავკასიის სეიმი და საქართველოს დამფუძნებელი კრება. 2. არჩევნები საგუბერნიო კრებაზე დელეგატებისა. მომხსენებელია ამხ. მიხ. საყვარელიძე, კრება შესდგება რამდენი კაციც უნდა დაესწროს.

კრება მიტინგი. ოთხშაბათს პარტიულ კლუბში მოხდა დიდი კრება მიტინგი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. სამსონ დადიანი (გაზეთში თავმჯდომარედ გამოცხადებული ამხ. გ. ლასხიშვილი კრება-მიტინგს ვეღარ დაესწრო, რადგან ამ დროისთვის ის დაბარებული იყო ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე) კრება-მიტინგის საგანი იყო ამიერკავკასიის სეიმი. ილაპარაკეს: არ. ჯაჯანაშვილმა, არისტო ქუმბაძემ, შალ. ალექსი მესხიშვილმა, მიხ. საყვარელიძემ და სამს. ფირცხალავამ უკანასკნელი შეეხო აგრეთვე მტკივნეულ მხარეს ჩვენი, ეროვნული საკითხისას სამაჰმადიანო საქართველოს. დარბაზი მთლად სავსე იყო. მიტინგის დასასრულ მიღებული იყო ასეთი რეზოლიუცია:

„საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის წევრთა მიტინგი, იღებს რა მხედველობაში, რომ არევ-დარევის მოსპობის და რევოლიუციის გადასარჩენად საჭიროა რაც შეიძლება მალე საძირკველი ჩაეყაროს ტერიტორიალურ ავტონომიებს ეროვნებათა დამფუძნებელ კრებათა მოწვევასაც, მოითხოვს რომ ამიერკავკასიის სეიმმა, როგორც დროებითმა ორგანიზაციამ—მოახდინოს ეროვნულ-ტერიტორიალური გამიჯვნა, ჩამოაგდოს ზავი, რის შემდეგაც ავტონომიური ერები შეადგენენ საამიერკავკასიო საქმეებისათვის ფედერალურ საბჭოს, რომელიც იქნება გამომხატველი ამიერკავკ. თავისუფალ კავშირისა."

არეულობა ამიერკავკასიაში

თავდასხმა მ ტარებელზე. ულუხანლუს დამცველი რაზმის უფროსი დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს: როდესაც მატარებლები № 25 და 28 იდგნენ 25 იანვარს სადგურ ულუხანლუში—თავს დაესხნენ ვაგონს რომელშიდაც იყო თოფები, ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი ყაჩაღები.—წაიღეს რამოდენიმე თოფი. როგორც გაიგეს ეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაედევნენ ყაჩაღებს გაჩნდა საშინელი სროლა, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდნენ გზაში მიმავალი ჯარის-კაცებიც ისროდნენ ჯარის-კაცები ვაგონებიდან, სროლა შეუწყვეტლივ გაგრძელდა 2 ნახ. საათს. ბევრია მოკლულ-დაჭრილი. მოსამსახურენი ცუდ მდგომარეობაში არიან, რადგან თითქმის ყოველ დღე ხდება ასეთი არევ-დარევა და სროლა. იძულებული ხდებიან დასტოვონ სამსახური და გაიქცნენ. არავითარი საშვალება არა გვაქვს შევაჩეროთ მოსამსახურეები.

რომ მდგომარეობა ცოტათი მოწესრიგდეს, საჭიროა დამცველი რაზმის გაძლიერება; თუ ეს არ მოხერხდება მაშ ნ გზა აუცილებლად უნდა დაიკეტოს.

სადგური არარატი ამიერკავკასიის კომისარიატს ატყობინებენ რომ რადგან არატში კვლავ სრული ანარქიაა. ძარცვა-მკვლელობა სტიქიური ხასიათს ღებულობს, რომლის საჭიროებათაც არავითარი ძალა და საშუალება არა გვაქვს, ერთმა ნაწილმა უკვე დასტოვა სადგური და დანარჩენებიც არ იციდიან. დამცველი კომიტეტები იძულებულია დაკეტონ სადგური არატი და მის მაგივრად გადავიდნენ სხვა რომელიმე სადგურზე.

სომხური პრესა

გაზეთი „ჰორიზონი" სწერს ამიერკავკასიის სეიმის შესახებ:

ამიერკავკასიის სოც.-დემოკრატია ეროვნული საკითხის და ეროვნული ორგანიზაციის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო რევოლიუციამდე. ხოლო რევოლიუციის შემდეგ თანდათან სთმობს თავის პოზიციას და ეხლა დიამეტრალურად წინააღმდეგ თვალსაზრისს აღგას. ინტერნაციონალური ლოზუნგი კვლავ რჩება მის ლექსიკონში მხოლოდ როგორც უბრალო სამკაული. აზროვნების ასეთი ევოლიუციის შედეგად ის, რომ არამც თუ ავტონომისტების „ალიონი", არამედ „ერთობაც" ენერგიულად იცავს ეროვნული ტერიტორიის პრინციპს და ამიერკავკასიის გადამიჯვნის აუცილებლობას სათანადო ეროვნულ ერთეულების მიხედვით.

ჯერ ხანობით სოციალ-დემოკრატების სიტყვებიდან, საკმაოდ ბნელ და ბურუსით მოცულ სიტყვებიდან, შეუძლებელია საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ მათი აზრის შესახებ, თუ როგორ ესმით მათ ეროვნული ტერიტორიების შინაური მოწყობა და მათი ურთიერთობა, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი აზრი „ამიერკავკასიის ფედერატიულად მოწყობისკენ იხრება. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯები სცდილობს საქართველოს მოწყობას, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის ერთ ერთ ნაწილისას. ხოლო ყველამ უწყის, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო სოც.-დემოკრატების პროგრამითა და გზით მუშაობს.

სოც.-დემოკრატები ხელმძღვანელობენ იმავე მოსაზრებით და ერთხმად ყოველივე ძალ ღონით სცდილობენ დაგვიმტკიცონ ამიერკავკასიის სეიმის აუცილებლობა.

ამიერკავკასიის ფედერაცია!.. რამდენი სისხლი მოიწამლა და გაფუჭდა ამ იდეის გარშემო, რამდენი ლახვარი არ ისროლეს სოც.-დემოკრატებმა ,,დაშნაკცუთიუნის'' წინააღმდეგ. საკმარისია გავიხსენოთ ის დაუზოგავი და გაცოფებული ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა სოც.-დემოკრატი და დაშნაკელ პროპაგანდისტებს და პუბლიცისტებს შორის ამიერკავკასიის სახელმწიფო წყობილების საკითხის გამო; საკმარისია შევადაროთ სათანადო მუხლები სოც.-დემოკრატებისა და დაშნაკელების პროგრამებისა, რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ უცბად შეირყა ფედერაციის მოსისხლე მტრების აზრი. ორგანიზაციის ის ფორმა, რომელსაც ისინი ,,ბურჟუაზიულად", ,,ანტისოციალისტურად'' და ,,ნაციონალისტურად'' სთვლიდნენ, დღეს უკვე პროლეტარული და სოციალისტურია,—განა ეს გასაკვირველი არაა?

რაც უნდა იყოს, ჩვენ მოხარული ვართ ასეთი ცვლილების. ეს მეტი ცხოველმყოფელი დამტკიცებაა ,,დაშნაკცუთიუნის'' პროგრამის სიმართლისა. ეს ამტკიცებს, რომ ჩვენმა მოძღვრებამ ფედერაციის იდეებისა ფუჭად არ ჩაიარა. ეს საუკეთესო საბუთია იმის, რომ ჩვენ თავიდანვე უკეთ აღვიდეთ ალღო სინამდვილეს, ვიდრე სოც.-დემოკრატებმა, რომელნიც მხოლოდ ხანგრძლივი ყოყმანის და ბრძოლის შემდეგ ჩვენს თვალსაზრისს მოუახლოვდა და ეხლა უცილებლად სცნობენ ამიერკავკასიის მოწყობას ეროვნული ტერიტორიების მიხედვით.

სოციალ-დემოკრატები საზღვრავენ ეროვნულ ტერიტორიებსაც. და ამ შემთხვევაში ისინი იმავე თვალსაზრისს ადგანან, რომელსაც ჩვენ. მაგ. ,,ერთობა'' ამბობს, რომ ამიერკავკასია უნდა დაიყოს ქართულ, სომხურ და მუსულმანთა ერთეულებად, რომელნიც დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ ადგილობრივ საკითხებში, ხოლო შეკავშირებულნი საერთო საკითხების გამოსარკვევად. ეს ჩვენი დებულებაა, რომელიც უკანასკნელ სარაიონო ყრილობაზეც იქნება დადასტურებული. არსებითი განსხვავება იმაშია, რომ სოც.-დემოკრატები უკვე შესაძლებლად სცნობენ საერთო ცენტრის შექმნას და ასეთი ცენტრის როლს დამფუძნებელი კრების წევრთა ყრილობას აკუთვნებენ; და მას სეიმს უწოდებენ; ჩვენ კი საჭიროდ მიგვაჩნია ჯერ ეროვნულ-ტერიტორიალური ერთეულების შექმნა და შემდეგ კი ამ ერთეულების შეთანხმებით ამიერ-კავკასიის ცენტრალურ მთავრობის მოწყობა.

ეს განსხვავება ფორმალური ხასიათის არაა და არსებითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით სომხურ-თათრულ ოლქებისთვის, სადაც ჯერ არ მომხდარა ტერიტორიალური გადამიჯვნა; იქ ანარქიაა გამეფებული საზღვრების გადამიჯვნას სერიოზული დაბრკოლებები ეღობება.

საჭიროა ჯერ საძირკვლის ჩაყრა შენობისთვის, ხოლო შემდეგ კი გუმბათების აღმართვა. სოც.-დემოკრატებს კი კვლავინდებურად გუმბათიდან უნდათ ტაძრის აშენება დაიწყონ, და ეხლაც მათი ცდა ფუჭად ჩაივლის.

ქართული უნივერსიტეტი

თუმცა ეს გული დღეს ასე დაიღალა და მოიჭანცა იმ აუტანელი მდგომარეობით, რომელიც შექმნა ამ უმაგალითო მსოფლიო ომმა, ამ გაუთავებელმა სისხლის ღვრამ, მაგრამ ეს გული მაინც უზომო სიხარულით ივსება და მთელი ჩვენი არსება ზნეობრივი კმაყოფილებითაა აღსავსე. ქართული უნივერსიტეტი, ქართველ მეცნიერთა ტაძარი! რა სასიამოვნოა და ხმატკბილი სიტყვები!

მართალია, მეცნიერება ინტერნაციონალურია, იგი მსოფლიოა, იგა შეადგენს ერთ საერთო მთელი კაცობრიობისას, მაგრამ ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს რომ ამ საერთო საუნჯეში ყველა განათლებულ ერს შეაქვს თავისი წვლილი შესაფერი თავისი სულიერი ძალ-ღონისა, რომელსაც აზის ბეჭედი მისი ინდივიდუალური გენიალობისა.

თუ ფრანგის ერმა შექმნა მოღვა[illegible] გენიოსი პასტერი, გერმანელი გენიოსობის დამახასიათებელი, დაუშრეტელი ენერგიის მქონე კოხი, ხოლო ინგლისელის განუზომლის სიღრმის კი დარვინი.

როგორც ყოველი შეგნებული პიროვნება სულიერად მოვალეა, როგორც ერთეული მთელი მთლისა, ხელი შეუწყოს აღწიოს საერთო ზნეობრივი და სულიერი სიმდიდრე და ამაში მან უნდა ჰპოვოს ნამდვილი თავის ბედნიერება, ისე ყოველი ერი, როგორც ერთეული მთელი მსოფლიოსი, უნდა შექმნეს აქტიური მონაწილე საერთო სულიერი შემოქმედებისა.

და აი დღეს ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტი შექმნება იმ შემოქმედ სამეცნიერო ძალად, სადაც მერმისში მოგროვდება ქართველი ერის გონებრივი ძალა. დღეიდამ ჩვენი ერი უნდა გახდეს იმ ერთეულად, რომელმაც მსოფლიო მეცნიერებას უნდა უბოძოს თანდათან ის მისგან ღებული სულიერი განძი, დღეიდამ ჩვენ ცხოვრებაში იწყება ის სანეტარო ხანა, როდესაც ჩვენ უნდა შევიქმნეთ არა მარტო როგორც მხოლოდ ამღები მსოფლიო აზროვნებიდამ, არამედ როგორც შემტანიც ამ საერთო საუნჯეში.

ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტი ის პირმშოა, რომელიც მოწმობს ჩვენს ახალგაზდურ სულიერ ძალას, იგია დამამტკიცებელი ჩვენი ერის დაუშრეტელი ძალისა, რომელიც ვერ დასთრგუნა მთელი საუკუნის მონობამ, გონების და სულის შემხუთველმა რუსის უკუღმართმა სკოლამ.

შავბნელი იყო ჩვენი განვლილი დღეები, ის იყო ის ჯოჯოხეთი, რომლის კარებზე ჩვენ ვკითხულობდით დანტეს წარწერას: „აქ შემომსვლელო უკუ აგდე სამუდამოდ იმედი". მაგრამ საქართველოს ბედის ჩარხი კვლავ დატრიალდა და კვლავ დავაბიჯეთ ამ საშინელ ჯურღმულს. დღეს გული მერმისის მოლოდინში სავსეა იმედით, რომ დგება ახალი ხანა ჩვენი ერისა, რომლის გენიოსობას მიეცემა ნათელი გზა და რომლის ლამპარი და გამშუქებელი შეიქმნება ჩვენი ნორჩი პირმშო ქართული უნივერსიტეტი.

ექიმი ბადრიძე.

ტფ. ქალაქის გამგეობის სავალდებულო დადგენილება

(პურის შესახებ)

1. 1 თებერვლიდან პური მხოლოდ **სახლის კომიტეტებს** მიეცემა გარდა ახლად ჩამომსვლელებისა, რომელთაც პური დღიური ბარათებით დაურიგდება.

2. იანვრის განმავლობაში სახლის კომიტეტებს პური **რიგს გარეშე** მიეცემა.

3. მეფურნეები და მედუქნეები ვალდებულნი არიან პური მისცენ, აწონილი იმ ბარათების მიხედვით, რომელთაც სახლის კომიტეტები წარადგენენ.

4. მეფურნეები და მედუქნეები ვალდებულნი არიან ჰყიდონ პური დილის 6 საათიდან.

5. სახლის კომიტეტები ვალდებულნი არიან იქონიონ სია იმ პირებისა, რომელნიც თვითეულ ბინაზე სცხოვრობენ: სიაზე ხელი ბინის პატრონს უნდა ეწეროს. უკანასკნელნი პასუხს აგებენ იმ ცნობებზე, რომელთაც ისინი წარუდგენენ. ისინი პასუხს აგებენ აგრეთვე, თუ სახლის კომიტეტები თავის დროზე არ აუწყებენ რომელიმე პირის წასვლის შესახებ ბინიდან.

შენიშვნა. ამ დადგენილებების დარღვევისთვის დამნაშავენი დაისჯებიან 29 სტ. ძალით (კანონების ტ. XV გამ. 1917 წ.)

ტფ. ქალაქის გამგეობა.

1918 წლის 9 იანვარი.

ამხანაგებო!
გახსოვდეთ
ოთხშაბათი 31 იანვარი.

ქართველ ახალგაზრდობას

2 რე ქართულ დივიზიასთან არსებულ ბატალიონისაგან.

დღეს დრო აღარ არის მეტ სიტყვაობის, მეტ ლაპარაკის, საკმარისია მხოლოდ რომ ჰხედავთ და გესმით: „ქართველი ერი განსაცდელშია, მშობელი ქვეყანა იღუპება"... მაშ დაყოვნება, ხვალის და მომავალის ცდა ზედმეტია, ვისაც გული ერჩის, ვისაც აქვს კიდევ სიყვარული მშობელ ქვეყნისა და ხალხისა, უნდა დასტოვოს ყოველივე და მიაშუროს ქართულ ერთეულებს, ჩაეწეროს ჯარის-კაცად, მოხალისედ... მიმოვიხედოთ გარშემო და რას დავინახავთ მთელი ჩვენი მეზობლობა, საქართველოს რკალივით, რომ არტყია, თხემით ტერფამდე იარაღში ჯდება, იბრძვის თავისუფლებისთვის და ამის გარშემო აგროვებს თავის ერის ენერგიას, რაზმავს რეგულიარულ ჯარად მთელ თავის ცოცხალ ძალას, ამ დროს ჩვენ ერთმანეთს ვეკამათებით საჭიროა ჯარი თუ არაო და თითქოს არც იმას ვხედავდეთ, რომ არსად [illegible] მეგობარი არ გვეგულება არავინ არ დაგვინდობს, თუ წაქცეული და დაჩოქილი დაგვინახა. ესეც რომ არ იყვეს, ჯარმა დასტოვა ფრონტი, დაიქსაქსა, მიეშურება საქართველოდან და ამიერკავკასიიდან და აქ რჩება ის აუარებელი ქონება, რომელიც შეძენილ იყო ჩვენის სისხლის ფასითაც, რომლის ნაწილი ქართველი ხალხის კანონიერ საკუთრებას შეადგენს, და ამას კი მოვლა უნდა, პატრონობა, თორემ მუქთად არავინ მოგვცემს. ჩვენი ჯარები ვერ სწვდებიან, რომ ყოველივე ამას გაუძღვნენ და საქმე კი დაყოვნებას არ ითხოვს. ყოველი წუთი ძვირფასია, ყოველ წუთს ეკარგება ქართველ ხალხს საკუთარი სისხლით ნაყიდი ოქრო.

ყოველ ქუჩაზე ჩვენ დედა-ქალაქ ტფილისში დაინახავთ როგორ ეზიდებიან სხვა და სხვა სურსათს, ტანსაცმელს და ფეხსაცმელს და სხვას. ჰხედავთ, რომ მუშაობენ სხვანი, ჰხედავთ რომ ემზადებიან და ამასთან ერთად გული გწყდებათ, რომ ჩვენი ერის შვილნი ასე ცოცხლად არ მუშაობენ და თუ შეხვდათ სადმე ისიც იშვიათად თითქმის სასხვათაშორისოდ.

ყველგან საქმეა გასაკეთებელი, ყველგან მზრუნველი ხელია საჭირო, სამშობლოს ყოველი ნაწილი მოითხოვს შეგნებულ ჯარის-კაცს, ჯარისკაცს მცნებით და იდეით სავსეს. დღეს დგება საკითხი ისე, რომ ხსნა საქართველოსი ძალუძს შეგნებულ ჯარისკაცს, რეგულიარულად შედგენილ ჯარს, წესით და რიგით შედგენილს..

და აი სამშობლოს თვალები ახალგაზრდობისაკენაა მიმართული, ხსნას მისგან მოელის, ერთად ერთ მხსნელად მას თქვენ მიუჩნევიხართ, თქვენს იქით ხსნას იგი არ მოელის და მაშ ნუღარ დაყოვნდებით, ნუღარ შეჩერდებით ნურაფრის წინაშე, არავითარ დაბრკოლებას არ შეუშინდეთ არც ობიექტიურს არც სუბიექტიურს, მიაშურეთ ქართულ ერთეულებს, განაცხადეთ თამამად, რომ მზადა ხართ გასწიროთ თავი და მსხვერპლად დაედოთ საყვარელ მშობელ ხალხს. აღენთეთ ცეცხლით სიყვარულისა ერისადმი და გამოეშურეთ ქართულ ჯარისკენ.

აი უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც შესდგა ქართველ ახალგაზრდებთაგან ბატალიონი, რომელიც ამ გზით უკვე მუშაობს. მაგრამ მუშაობა იგი, რომ განცხოველდეს საჭიროა მეტი შეგნებულ ქართველი ახალგაზრდა. პირველად ყურად უნდა იღოს სტუდენტობამ და მოწაფეობამ.

ბატალიონი მოთავსებულია, ყოფილ სამხედრო სასწავლებლის შენობაში მიხეილის პროსპექტზე, სადაც შეიძლება კიდეც მოხალისეთა ჩაწერა.

Учебный Батальон при 2-ой Грузинской дивизiи

ბატალიონის უფროსი:

კაპიტან ჯაფარიძე.

ადგილობრივი სასამართლოს განახლება.

(ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება)

1. თვითეული მაზრა (თუ ოლქი) და ქალაქი უნდა დაიყოს სამომრიგებლო უბნებად.

2. რამდენიმე სამომრიგებლო უბანი შეადგენს ერთ სამომრიგებლო ოლქს,

შენიშვნა: ქალაქი ტფილისი და ბაქო ცალკე სამომრიგებლო ოლქებს შეადგენენ.

3. სამომრიგებლო უბნებს განაგებენ უბნის მომრიგებელი მოსამართლენი. სამომრიგებლო ოლქის სათავეში სდგას საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

4. საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთ ირჩევენ: ქალაქებში—ქალაქის საბჭოები. (ეს იქ სადაც ქალაქს თავის მომრიგებელი მოსამართლე უნდა ჰყავდეს). დანარჩენ ადგილებში—სამაზრო საერობო ყრილობები—ხოლო საერობო ყრილობების შემოღებამდე—მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები.

თუ ორი ან რამდენიმე მაზრა შეერთდა ერთ სამომრიგებლო ოლქში—მაშინ ამ ოლქისთვის საერობო ყრილობა (ანდა აღმასრულებელი კომიტეტი) აირჩევს იმდენ მომრიგებელ მოსამართლეს, რამდენიც შეერთებულ მაზრებს ხვდებოდათ.

შენიშვნა: საერობო დაწესებულებათა შემოღებისამებრ, საერობო ყრილობები ირჩევენ ახალ მომრიგებელ მოსამართლეთ. ამასთან სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ არჩეული მომრიგებელი მოსამართლენი ჰკარგავენ რწმუნებულებს იმ დღიდან, რა დღესაც ახლად არჩეულნი მომრიგებელი მოსამართლენი თანამდებობას შეუდგებიან,

5. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობამ უნდა ითავოს სამომრიგებლო უბანთა საზღვრების გადაჭრა და საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთა სამომრიგებლო უბნებში განწესება.

6. საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვი თვითეულ ოლქში სწყდება კომისარიატის მიერ შემუშავებულ საგანგებო განსაზღვრის მიხედვით.

7. საუბნო მომრიგებელ მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს:

ა) როგორც კაცი, ისე ქალი არა ნაკლებ 25-ის წლისა.

ბ) უმაღლესი ან საშუალო განათლებისა, სასამართლოს უწყებაში 5 წლით ნამსახური.

გ) რუსულ ენის გარდა იმ ენის მცოდნე, რომელ ენაზედაც ლაპარაკობს უბნის თუ ოლქის უმცირესობა. (იხ 13 მუხლი).

შენიშვნა; თუ ასეთი კანდიდატები არ მოიპოვებიან, მაშინ მოსამართლედ აირჩევა ისეთი კაცი, რომელსაც ეცოდინება რუსულ ენის გარდა ის ენები, რომლებზედაც ლაპარაკობენ ოლქისა თუ უბნის უმრავლესობანი.

8. მომრიგებელ მოსამართლედ არ შეიძლება არჩეულ იქნეს:

ა) ისეთი პირნი, ვინც სასამართლოში იყო მიცემული და უფლება ახდილია.

ბ) ქურდობისა, ავაზაკობისა და თაღლითობისთვის სასამართლოში მიცემული და გ) სასამართლო წესდების 21 დამ. მესამე და მეოთხე პუნქტი მოხსენებული.

9. მომრიგებელ მოსამართლედ აირჩევიან ყველა ის პირნი, რომლებიც ჩამოთვლილ პირობებს აკმაყოფილებენ.

10. მომრიგებელი მოსამართლე საქმეს აწარმოებს იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს უბნის უმრავლესობა. სამომრიგებლო ყრილობაზე საქმეს აწარმოებენ იმ ენაზე რა ენაზედაც ოლქის უმრავლესობა ლაპარაკობს, თუ სამომრიგებლო ოლქში სხვა ენას ხმარობენ და უბანში კი სხვას, მაშინ სამომრიგებლო უბნის საქმის წარმოება რუსულ ენაზე უნდა ხდებოდეს,

11. სამომრიგებლო ოლქში და უბანში მფლობელ ენად ამა თუ იმ ენის აღიარება მიენდობა ამიერკავკასიის უზენაეს მთავრობას.

12. თუ გამორკვა, რომ ამა თუ იმ სამომრიგებლო ოლქში თუ უბანში არც ერთი ადგილობრივი ენა არ ჩაითვლება მფლობელ ენად—მაშინ სამომრიგებლო ოლქის თუ უბნის საქმის წარმოება რუსულ ენაზე ხდება.

13. თუ რომელიმე ოლქში და უბანში რომელიმე უმცირესობა, ადგილობრივ მცხოვრებთა ერთ მეათედს მაინც შეადგენს და ერთ ენაზე ლაპარაკობს—ამ უმცირესობას უფლება აქვს თხოვნები, საჩივრები, განცხადებები და სხვა და სხვა განმარტებანი თავის ენაზე შეიტანოს. მათვე უნდა მიიღონ სასამართლოდან ყველა ქაღალდები როგორც მფლობელ ენაზე ისე დედაენაზე.

14. თუ ორივე მხარე ან და ბრალდებულნი მოისურვებენ, რომ საქმე რუსულ ენაზე სწარმოებდეს—სურვილი სრულდება.

15. თხოვნებსა და საჩივრებს დატუსაღებული პირი აძლევს იმ ენაზე რა ენაც იცის.

16. მომრიგებელი მოსამართლენი საქმეს აწარმოებენ იმ ენაზე, რომელი ენაც ამა თუ იმ ოლქში თუ უბანში ითვლება მფლობელ ენად.

17. ამიერკავკასიაში მომრიგებელი მოსამართლე იხილავს და სწყვეტს იმ საქმეებს, რომლებიც ნაჩვენებია სამოქალაქო სასამართლოს წესდების 1462 მუხლში და სისხლის სამართლის 1259 და 1260 მუხლებში, მომრიგებელი მოსამართლე იხილავს და სწყვეტს აგრეთვე სახაზინო გამგეობათა წესდებების დამრღვეველ პირების საქმეებს.

18. სამომრიგებლო ყრილობა შესდგება თავმჯდომარისა და საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთაგან.

19. სამომრიგებლო ყრილობათა სხდომები შესდგება ყრილობის თავმჯდომარის და საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთა დასწრებით.

20. სამომრიგებლო ყრილობაზე თავმჯდომარეს ირჩევენ თვით მომრიგებელი მოსამართლენი თავის შორის, თავმჯდომარე აღარ განაგებს სამომრიგებლო უბანს. ამისათვის იმავე წესით სხვა საუბნო მომრიგებელ მოსამართლეს ირჩევენ.

21. სადაო საქმეთა ხელახლად გადასასინჯავად ამიერკავკასიაში არსდება საგანგებო სამსჯავრო. მას ორი განყოფილება ექნება—ერთი სამოქალაქო და მეორე სისხლის სასამართლოს განყოფილება. ამ სასამართლოს შემადგენლობაში შედიან: ერთი თავმჯდომარე, ოთხი სამოქალაქო განყოფილების და სამიც სისხლის სამართლის განყოფილებისა. თავმჯდომარის და სასამართლოს წევრების არჩევა ამიერკავკასიის უზენაეს მთავრობას ევალება.

22. კავკასიის სადაო საქმეთა ხელახლა გადასასინჯავად შემდგარ სასამართლოს წევრთა საერთო კრება ნიშნავს განყოფილებათა თავმჯდომარის ამხანაგებს და ნიშნავს წევრებს განყოფილებებში, ისე კი რომ თვითეულ განყოფილებაში მოექცნენ ქართულის, სომხურის და თათრულის მცოდნე პირები. ამავე საერთო ყრილობის საქმეა, წარუდგინოს ამიერკავკასიის უზენაეს მთავრობას კანდიდატთა სია სადაო საქმეთა ხელახლად გადასასინჯავ სასამართლოში დაცლილ ადგილებზე დასანიშნავად.

23. ამიერკავკასიაში სადაო საქმეთა ხელახალ გადასასინჯავად დაარსებულ სასამართლოში არსდება ორ მდივნის და მის ოთხ თანაშემწის თანამდებობა თითო განყოფილებაში (თითო მდივანი ორ-ორ თანაშემწით).

24. სადაო საქმეთა ხელახალ განსახილველად შემდგარ სასამართლოში საქმეების შესახებ გარდაწყვეტილების მიღება ევალება ტფილისის სასამართლო პალატის ბრალმდებელს და მის ამხანაგებს.

25. სადაო საქმეთა ხელახალ გადასასინჯავად შემდგარ სასამართლოში საქმის წარმოება ხდება რუსულ ენაზე.

26. სადაო საქმეზე შეტანილი საჩივარი იწერება როგორც რუსულად ისე იმ ენაზე, რომელზედაც დაწერილია გასაჩივრებული დადგენილება და განაჩენი.

არა რუსულ ენაზე დაწერილი საჩივრები სასამართლოში რუსულად ნათარგმნი უნდა წარადგინონ.

27. მომრიგებელ მოსამართლეებთან, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებთან და სადაო საქმეთა ხელახლად გადასასინჯავად შემდგარ სასამართლოსთან იყოფებიან ადგილობრივ ენებიდან რუსულ ენაზე მთარგმნელი პირები.

II

საუბნო მომრიგებელი მოსამართლენი არჩეულ უნდა იქმნენ მაზრებში, ოლქებში და ქალაქებში იუსტიციის სამინისტროს საქმეთა კომისრის წინადადებით არჩევანი უნდა მოხდეს პირველად იმ ოლქებსა, ქალაქებსა და უბნებში, რომლებშიაც კავკასიის უზენაესი მთავრობა გადასწყვეტს, თუ რომელ ენას ეკუთვნის მფლობელობა.

III

ამიერკავკასიის ყველანაირი მომრიგებელი მოსამართლენი, მათი თანაშემწენი, საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი და კანცელარიის მოსამსახურენი გადაყენებულ იქმნებიან თანამდებობიდგან იმ დღიდგან რა დღესაც თავიანთ თანამდებობას შეუდგებიან ამ დადგენილებით არჩეულნი მოსამართლენი და მათი ამხანაგნი.

IV

გაუქმდეს ამიერკავკასიაში მომრიგებელ მოსამართლეთა და მათ ამხანაგთა თანამდებობა. ამ თანამდებობის პირნი დარჩნენ შტატის გარეშე.

V

ის საქმეები, რომელთა განხილვა გადაწყვეტაც ვერ მოასწრეს გადაყენებულ მომრიგებელ მოსამართლეთ გადაეცემათ თანამდებობაზე ახლად შემდგარ მომრიგებელ მოსამართლეთ.

VI

ამიერკავკასიის საზღვრებში დაღესტნისა და ზაქათალის ოლქის გარდა უქმდება სოფლის სასამართლოები, ის საქმეები რომლებსაც ხსენებული სასამართლონი იხილავდნენ, გადაეცემათ სამომრიგებლო სასამართლოთა დაწესებულებებს.

ხელს აწერენ: ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე **გეგეჭკორი.**

დაადასტურა: იუსტიციის სამინისტრო საქმეთა კომისარმა **შ. ვ. ალექსი მესხიშვილმა.**

მუშათა წერილები

სოციალდემოკრატია დარგებში.

მფეთქავი ნერვი ამიერკავკასიის სიცოცხლის და არსებობის, ყველასათვის აშკარა და ცხადია, არის ამიერკავკასიის რკინის გზა, სადაც მოგროვილი თავმოყრილია მუშა ხალხი და მოსამსახურე, რომელიც თვითონ თავის განმავლობაში [illegible] [illegible] [illegible].

როგორც ყოველგან ჩვენს სამოგზაურო საქმეებს, აქაც სათავეში მოექცა ჩვენებური მენშევიკების „მარტიული" ხაზი და ამიერკავკასიის რკინის გზაც სავსებით ადგა იმ ტაქტიკას, რა ტაქტიკასაც მენშევიკები აწარმოებენ ყოველგან და ყოველთვის, თუმცა ამ ბოლო დროს სხვა რევოლუციონური პარტიებიც ნელ-ნელა იძენენ ფეხს და მუშა და მოსამსახურე [illegible] მენშევიზმის მფარველობიდან. „[illegible]" პოლიტიკა, არც ისე დიდი სახარბიელო არის და ისიც რევოლუციის გადამწყვეტ პროცესში. მენშევიკებმა, რუსეთში სრულიად გაკოტრების შემდეგ, როგორც ეტყობა, [illegible] და ბლაბი ძველი [illegible] აქ დაავიროვეს და, როგორც თვითონვე ამბობენ, აქედან უნდათ აწარმოონ გამოლაშქრება [illegible] ანგარიშების...

ვილაპარაკოთ ფაქტები.

ჩვენ ვიცით დეკრეტი, რომლის ძალითაც რკინის გზის ყველა მუშა-მოსამსახურენი თითქმის კატეგორიულად იყვნენ განაწილებულნი. ეს ჯერ კიდევ სამი თუ ოთხი თვის უკან მოხდა, როდესაც მშრომელ ხალხს ახალი უბედურება, ეკონომიური კრიზისი დაატყდა თავს, ასე რომ სრულიად რუსეთის რკინის გზების კავშირის გადაწყვეტილება [illegible] შესახებ ჩვენ მაშინ მივიღეთ, როცა ცხოვრებამ უკვე გაასწრო ჯამაგირების ნორმას. აქ მოსული დეკრეტი მხოლოდ ამითი იყო კარგი, რომ ის „დეკრეტი" იყო და სხვა არაფერი. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი რკინის გზის მენშევიკების წარმომადგენლები ფარულად [illegible] ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსება, სადაც, სხვათა შორის, ფინანსთა სამინისტროს პორტფელიც [illegible] თავს. [illegible] დემოკრატიისგან [illegible] ტიტები, ცოტა არ იყოს, მეორე რკინის გზის ყრილობაზე ტფილისში უერთხმობისაც გრძნობდნენ... და ეს [illegible] იყო: თავი [illegible] ამიერკავკასიის—ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, ხოლო ფეხები—რუსეთის ყველა რკინის გზათა შეერთებულ კავშირს. რომელი პოლიტიკა, ორი წინააღმდეგობა და, როგორც ხედავთ, ორპირობაც კი.. ამიერკავკასიის კომისარიატმა ფული ვერ მისცა რკინის გზას თავის დროზე, რუსეთის ცენტრი მოიშალა და პერიფერიები სრულიად უმწეოდ დარჩა ამ სრულიად უსუსურ პოლიტიკის წყალობით. ამის უტყუარი მოწმეა ის ფაქტი, რომ საშობაოდ მოსამსახურეებმა მხოლოდ ნახევარი ჯამაგირები მიიღეს...

გარდა წოდებულ უზენაეს პოლიტიკაშიც მენშევიკების ფრთა მაინც და მაინც ვერც ეხლა სდგას სათანადო სიმაღლეზე. მართალია გვაქვს სხვა და სხვა ორგანიზაციები, კომიტეტები, მაგრამ არა გვაქვს ის, რაც უნდა გვქონდეს და რაც ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენთვის,—ეს არის მუშათა და მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის უფლება. შეიძლება ითქვას, ჩვენ ამის შესახებ ბრძოლა არც კი გვახსოვს „მუშათა პარტიისაგან" ჯერ ჯერობით. მიღება-დათხოვნა ჯერ ისევ მთავრობის ხელშია და, როგორც ამბობენ, „მშვენიერ თვალთა კრთომა" ადვილად იპყრობს, რომელიმე ბიუროკრატის მონადირე გულს. მუშა-მოსამსახურეთა კლასმა ამას უნდა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. ჩვენს სხვა და სხვა კომიტეტებში სრულიადაც არ დამდგარა ჯერ კიდევ კითხვა უმაღლეს ადმინისტრაციის შესახებ შარშანდელი „იანვრისტები" მარტში ხომ არ გადიქმნებოდნენ სოციალისტებად? ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა კლასს ალბად ჯერაც არ დავიწყებია კბილთაღრჭენა ძველ ბიუროკრატ უფროსებისა".

მუშაობენ დასვენები... ვერ ვტყვით, მუშები არ იყვნენ, მაგრამ ეს მუშაობა იმ მუშაობას ჰგავს, „იტალიანურ გაფიცვას" რომ უწოდებენ. და ეს ყოველივე, რაიცა მათი საკუთარი შემოქმედებიდან გამომდინარეობს ერთგვარ დასკვნას აკეთებს—დასკვნას, რომელიც ყველაში თუ არა, მოსამსახურისა და მუშათა ნაწილებში [illegible] უკმაყოფილებას იწვევს. სხვას რას უნდა მოველოდეთ—სრული უწესობა მოსამსახურეებისა, და მუშების ჯამაგირებით დაკმაყოფილებაში ისიც როგორ დროს? ოცდა ოთხ დეკემბრიდან კაპეიკი არავის მიუღია. არა ოფიციალურად ხელდასმა და დაკანონება პროფესიონალურ კავშირებისა. ექვსი სათის შემოღების საკითხი, რომელიც სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირმა სავალდებულოდ იცნო. თვითნებობა ისევ ძველი ბიუროკრატიის და არსებობა ძველი ჟანდარმერიის დროის „სტრაჟნიკებისა", რომელნიც ჯერაც ისევ არსებობენ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ზოგიერთ დიდ დარგებში ვერც ერთ სამკითხველოს ვერ იხილავთ, სადაც შეიძლებოდეს თავისუფალ დროს ორიოდე ჟურნალ-გაზეთების თვალის გადავლება! ერთი ფრიად უხერხული მდგომარეობაც არის რკინის გზებზე—უხერხულობა, რომელიც სოც.-დემოკრატიამ იცის [illegible] ორპირობა [illegible] ხელს, საპირისპირო სოციალისტური ფრაქციების თანამშრომლობა საერთო შემოქმედება, ვინაიდან მენშევიკებმა კარგად იციან, რომ იმ ნიადაგს, რომელზედაც თვით აღგანან, წყალი უდგება და ის პოლიტიკა, რომელიც მათ აწარმოვეს ყოვლად ყალბია, ისინი უნდა შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მხოლოდ მთლიანი დემოკრატიული სოციალისტური მშრომელი ხალხი დაამკვიდრებს სანატრელ მომენტს, რომლის მონატრულნი სხვათა შორის ამიერკავკასიის მუშა და მოსამსახურენი არიან. სიტყვა მოქმედებას ეკუთვნის...

წინამორბედი.

გამომცემელი
ხარიტონ შარაშიძე
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა—ელექტრ. მკურნალობა. ახალი რენტგენ-ელექტრ კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დიდი ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადული დ'არსონვალისა ფილტვების სნეულება, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დილის 9—1 ს. და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—91. 683

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საზებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1032

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის-უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2139

ექიმი
ლ. დ. ფავლენიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: [illegible] ქუჩისა № 28/31. 1004

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] სამკურნალოს საზოგადოების შენობის პირდაპირ, [illegible] 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] სავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ [illegible] გარდა კვირისა. მისამართი: [illegible] ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ექიმი
პ. [illegible]
[illegible] იღებს შინაგან და [illegible] საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, [illegible] ბინა. 1062

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ, ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა.
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის, ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა, შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 100

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" ორივე ტომი	6 მ.	
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „	
გრძელი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები	2 „	
უცხოეთის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა"	—	60 კ
ჯანაშვილი—„თამარ მეფე"	1 „	20
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო"	—	40
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	—	60

წიგნის დამკვეთთ შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყოვნებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
სახალხო საქმე
▼▲▼
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს სუფთად, იაფად და თავის დროზე

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა, № 14